

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

12 ოქტომბერი 2017წ.

ერთი მხრივ, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის თეონა ხუფენიას სახით და მეორე მხრივ, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (შემდგომში „ენერგო-პრო“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მიხეილ ბოცვაძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1. ენერგო-პრო გამოხატავს ნებას, საწარმოო პრაქტიკის გატარების მიზნით, მიიღოს უნივერსიტეტის შერჩევით საწარმოო პრაქტიკაზე გაგზავნილი, შემდეგი პროფესიული პროგრამის სტუდენტები:

- მაღალი ძაბვის ელექტრიკოსი
- ელექტრიკოსი

1.2. თითოეულ ჯერზე სტუდენტების პრაქტიკაზე მიიღება მაქსიმუმ 15 სტუდენტი.

1.3. პრაქტიკის ვადას ადგენს უნივერსიტეტი, რომლის ხანგრძლივობაც თითოეულ ჯერზე არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამი) თვეს.

1.4. საწარმოო პრაქტიკა სტუდენტებისათვის ატარებს არაანაზღაურებად ხასიათს.

2. პრაქტიკის გავლის წესი

2.1. ენერგო-პრო, უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ სტუდენტებს, ინდივიდუალურად გაუფორმებს პრაქტიკის ხელშეკრულებებს. ენერგო-პრო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება, მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.2. პრაქტიკანტი სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან ენერგო-პროს მიერ შერჩეული ლოკაციის შესაბამისად.

2.3. ენერგო-პრო პრაქტიკანტ სტუდენტებს დაუნიშნავს მენტორს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკის მაღალ დონეზე გავლას.

2.4. პრაქტიკის დასრულების შემდეგ, სტუდენტთა მიერ გავლილი პრაქტიკის შეფასების მიზნით, მენტორი ავსებს უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ დახასიათების ბლანკს, რომელიც დამოწმებული იქნება ენერგო-პროს ბეჭდით.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე გაწეული მომსახურება წარიმართება ანაზღაურების გარეშე.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხემოწერისთანავე დამოქმედებს უვადოდ

5. სხვა პირობები

5.1. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობით შეთანხმებით.

5.2. მემორანდუმთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. მემორანდუმი შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა ხელმოწერები

<p><u>ენერგო-პრო:</u></p> <p>სს „ენერგო-პრო ჯორჯია“</p> <p>მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 19</p> <p>ს/კ 205169066</p> <p>ხელმოწერა: </p> <p>მიხეილ ბოცვაიე</p> 	<p><u>სასწავლო უნივერსიტეტი:</u></p> <p>შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი</p> <p>მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14</p> <p>ს/კ 220407888</p> <p>ხელმოწერა: </p> <p>თეონა ხუფენია</p> 
--	---